

ინფექციის პრევენცია და კონტროლი ჯანდაცვის სისტემაში ახალი A (H1N1) გრიპის ვირუსის მქონე დადასტურებულ და შესაძლო პაციენტებში

შუალედური სახელმძღვანელო

29 აპრილი 2009

შესავალი

A (H1N1) გრიპის არსებული სიტუაცია სწრაფად იცვლება. მოცულია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის შემადგენელი ქვეყნები.

ეპიდემიოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, ახალი A (H1N1) გრიპის ვირუსს უნარი აქვს გამოიწვიოს აფეთქებები საზოგადოებრივ ღონეზე და შესაბამისად შესაძლებელია მისი უწყვეტი გადაცემა ადამიანიდან ადამიანზე. ჯანდაცვის სისტემის ორგანოები ამჟამად აღმოჩნდნენ ახალი A (H1N1) გრიპის ვირუსით ინფიცირებული პაციენტების მოვლასთან დაკავშირებულ პრობლემების წინაშე. უაღრესად მნიშვნელოვანია რომ ჯანდაცვის სისტემის მუშაკებმა გამოიყენონ ინფექციური კონტროლის შესაბამისი ზომები, გრიპისმაგვარი პაციენტების მოვლის დროს, განსაკუთრებით, ახალი A (H1N1) გრიპის ვირუსის აფეთქებების ზონებში, რათა შემცირებულ იქნას პაციენტებს, სხვა სამედიცინო პერსონალს და ვიზიტორებს შორის დაავადების გადაცემის შესაძლებლობა.

29 აპრილის მონაცემებით, ადამიანიდან-ადამიანზე ახალი A (H1N1) გრიპის ვირუსის გადაცემა ძირითადად ხდება წვეთოვანი გზით, შესაბამისად ინფექციის კონტროლის ზომებში, ახალი A (H1N1) გრიპით ინფიცირების შესაძლო და დადასტურებული და გრიპისმაგვარი სიმპტომების მქონე პაციენტებში, პრიორიტეტულად უნდა ჩაითვალოს დაავადების რესპირატორული, წვეთოვანი გადაცემის გზის კონტროლი.

ინფექციის პრევენციის სტრატეგიის საფუძვლები

1. ადმინისტრაციული კონტროლი არის ძირითადი კომპონენტი, იგი მოიცავს შემდეგს: ინფექციის სტანდარტული და წვეთოვანი გზის იზოლაციურ-შემზღვდავი ღონისძიებების განხორციელება, თავშეყრის ადილებში ყოფნის თავის არიდება, პაციენტებს შორის დისტანციის (1 მეტრი) დაცვა, პაციენტთა ტრიაჟი ინფექციის ადრეული გამოვლენის მიზნით, პაციენტთა განთავსება და შეტყობინება, მომსახურების ორგანიზება, არსებული მარაგის რაციონალური გამოყენების პოლიტიკის შემუშავება,

პაციენტებისათვის განსახორციელებელ პროცედურებზე პოლიტიკის შემუშავება, ინფექციური კონტროლის ინფრასტრუქტურის გაძლიერება.

2. გარემო ობიექტების აღჭურვილობის/ტექნიკის კონტროლმა, ისეთი როგორც არის ჯანდაცვის სისტემის დაწესებულებების ადეკვატური ვენტილაცია, პაციენტების შესაბამისი განთავსება, გარემო ობიექტების და სამედიცინო ტექნიკის/ინვენტარის შესაბამისი დასუფთავება, შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს გრიპის გავრცელება პაციენტთა მოვლის დროს.
3. ხელმისაწვდომი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (PPI) რაციონალური გამოყენება და შესაბამისი ხელების ჰიგიენა.

დაცვის კრიტიკული ღონისძიებები

- პაციენტთა ერთად თავშეყრის თავიდან აცილება და დისტანციის დაცვა;
- ცხვირ-სახის ლორწოვანის დაცვა;
- ხელის ჰიგიენის განხორციელება.

დაცვის დასკვნითი ღონისძიებები:

პერსონალისთვის, ვისაც უწევთ A (H1N1) გრიპის დადასტურებულ, შესაძლო ან გრიპისმაგვარი სიმპტომების მქონე პაციენტების მოვლა.

პერსონალისთვის, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ A (H1N1) გრიპის დადასტურებულ, შესაძლო ან გრიპისმაგვარი სიმპტომების მქონე პაციენტებთან, განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს სტანდარტული და წვეთოვანი იზოლაციურ-შემზღუდავი ღონისძიებები.

ძირითადი ელემენტები:

- სამედიცინო ან ქირურგიული ნიღბის გამოყენება;
- ყურადღების გამახვილება ხელების ჰიგიენაზე და ხელის ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებების მომარაგება.

დაცვის სტანდარტული ღონისძიებები, სახეზე შხეფების მოხვედრის რისკის შემთხვევაში

- გამოიყენეთ სახის დამცავი საშუალებები! გამოიყენეთ სამედიცინო ან ქირურგიული ნიღბები, ასევე თვალების დამცავი, სპეციალური სათვალეები ან სახის დამცავი ფარები;
- გამოიყენეთ ხალათი და სუფთა ხელთათმანები;
- არ დაგავიწყდეთ ხელების დაბანა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოცვლის შემთხვევაში.

სამედიცინო მანიპულაციების დროს, როდესაც წარმოებს აეროზოლის გამოფრქვევის საშიშროება (მაგ. სასუნთქი ტრაქტის ასპირაცია, ინტუბაცია, ბრონქოსკოპია, აუტოფსია) და არსებობს ინფექციის გადაცემის მაღალი რისკი, გამოიყენება ინფექციური კონტროლის შემდეგი ღონისძიებები, რაც გულისხმობს შემდეგი საშუალებების გამოყენებას:

- სპეციფიური რესპირატორი (მაგ. EU FFP2, US NIOSH – certified N95)
- თვალების დამცავი საშუალება (სათვალები);
- სუფთა, არასტერილური, გრძელმკლავიანი ხალათი;
- ხელთათმანები (ზოგიერთი ამ პროცედურის დროს საჭიროა სტერილური ხელთათმანების გამოყენება)

ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი ელემენტები

- 1. ინფექციური კონტროლის ძირითადი რეკომენდაციები ჯანდაცვის ყველა დაწესებულებებისათვის**
სტანდარტული და წვეთოვანი იზოლაციურ-შემზღუდავი ღონისძიებები, მწვავე, ფებრილური, რესპირატორული დაავადების მქონე პაციენტების მოვლის დროს.
- 2. რესპირატორული ჰიგიენა/ხველის ეთიკა**
ჯანდაცვის მუშაკებმა, პაციენტებმა და ოჯახის წევრებმა ხველების/ცემინების დროს უნდა აიფარონ პირი და ცხვირი ქსოვილით და შემდეგ დაიბანონ ხელები.
- 3. ინფექციური კონტროლის ძირითადი ღონისძიებები A (H1N1) გრიპის ვირუსის დადასტურებული და შესაძლო შემთხვევების დროს**
მოათავსეთ პაციენტი სათანადოდ განიავებულ (ვენტილირებულ) ოთახში. პაციენტთა განცალკევების შესაძლობლობის არქონისას, წარმოებს მათი განთავსება კოჰორტულად სულ მცირე 1 მეტრის დაშორებით. სტანდარტული და წვეთოვანი იზოლაციურ-შემზღუდავი ღონისძიებები აუცილებელია ყველა შემსვლელისათვის იზოლირებულ პალატებში (პაციენტი, სამედიცინო პერსონალი, ვიზიტორი).
- 4. ტრიაჟი, ადრეული გამოვლენა და შეტყობინება A (H1N1) გრიპის დაავადების შესახებ**
A (H1N1) გრიპით დაავადებაზე საეჭვოდ მიჩნეული უნდა იქნას ყველა პაციენტი, რომელთაც აღენიშნება მწვავე, ცხელებით მიმდინარე, რესპირატორული დაავადება, იმყოფებოდნენ ინფიცირებულ რეგიონში სიმპტომების გამოვლინამდე 1 კვირით ადრე და ვისაც ქონდა კონტაქტი A (H1N1) გრიპით დაინფიცირებულ ადამიანთან ან ცხოველთან.
- 5. ინფექციური კონტროლის დამატებითი ღონისძიებები A (H1N1) გრიპის ვირუსის წვეთებით საავადმყოფოსშიგა გადაცემის შესამცირების მიზნით**

A (H1N1) გრიპის ვირუსით ინფიცირებულ პაციენტებთან სამედიცინო პერსონალის, ოჯახის წევრების და ვიზიტორების მიმოსვლის და რაოდენობის შემცირება.

6. ჯანდაცვის დაწესებულებებში ნიმუშების შეგროვება/ტრანსპორტირება/დამუშავება

სტანდარტული და წვეთოვანი იზოლაციურ-შემზღუდავი ღონისძიებების გამოყენება ნიმუშების შეგროვებისას და მათი ლაბორატორიამდე ტრანსპორტირებისას. ლაბორატორიებში დაცული უნდა იქნას ბიოუსაფრთხოების შესაბამისი ზომები.

7. რეკომენდაციები ოჯახის წევრებისთვის/მნახველებისთვის

ოჯახის წევრები/მნახველების რაოდენობა უნდა იყოს შეზღუდული და მათ უნდა დაიცვან იგივე ზომები, რაც სამედიცინო პერსონალისთვისაა განკუთვნილი.

8. ჯანდაცვის დაწესებულებებში პაციენტთა გადაადგილება/ტრანსპორტირება

A (H1N1) გრიპის ვირუსზე შესაძლო ან დადასტურებული დაავადების მქონე პაციენტების გადაადგილება სამედიცინო დაწესებულებებში არ უნდა მოხდეს სამედიცინო/ქირურგიული ნიღბების გარეშე.

9. პრე-ჰოსპიტალური მზრუნველობა

A (H1N1) გრიპით შესაძლო ან დადასტურებული დაავადების მქონე პაციენტების მოვლის/ზრუნვის დროს (მაგ: ტრანსპორტირება ჰოსპიტალში) დაავადების საწინააღმდეგო დაცვითი ღონისძიებები იგივეა, რაც წარმოებს ჰოსპიტალში.

10. პროფესიული ჯანმრთელობა

A (H1N1) გრიპის ვირუსით ექსპოზიციაზე სამედიცინო პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი. ანტივირუსული პროფილაქტიკა უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივი პოლიტიკას, დაავადების სიმპტომების მქონე სამედიცინო პერსონალი უნდა დარჩეს სახლში.

11. ნარჩენების განადგურება

წარმოებს A (H1N1) გრიპის ვირუსით შესაძლო დაბინძურებული ყველა ნარჩენის განადგურება (მაგ: გამოყენებული ნიღბები, ხელთათმანები, პაციენტის მოვლის ნარჩენები და სხვ.)

12. ჭურჭელი

ჭურჭელი ირეცხება არსებული წესის მიხედვით, კერძოდ: წყლითა და სადეზინფექციო საშუალებებით, რეცხვისას გამოიყენება არასტერილური რეზინის ხელთათმანები.

13. თეთრეული

თეთრეული ირეცხება არსებული წესის მიხედვით, კერძოდ: წყლითა და სადეზინფექციო საშუალებებით; თავი აარიდეთ თეთრეულის გაფერთხვას გარეცხვამდე. რეცხვისას გამოიყენება არასტერილური რეზინის ხელთათმანები.

14. გარემო ობიექტების გასუფთავება/დეზინფექცია

რეკომენდებულია გარემო ობიექტების, რომელთაგანაც ხშირად ხდება შეხება (მაგ: კარების სახელურები, და სხვ.) დეზინფექტანტების საშუალებით შესაბამისი დამუშავება.

15. პაციენტის მოვლის საშუალებები

A (H1N1) გრიპის ვირუსით ინფიცირებულ პაციენტებისათვის რეკომენდებულია ცალკე ინვენტარის (მაგ: ჭურჭელი და სხვ.) გამოყენება, სხვა შემთხვევაში გამოიყენება შესაბამისად დამუშავებული ნახმარი ინვენტარი.

16. A (H1N1) გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო დაცვითი ღონისძიებების ხანგრძლივობა

დაცვითი ღონისძიებები ხორციელდება სიმპტომების მიმდინარეობის მთელ პერიოდში

17. პაციენტთა გაწერა

თუ A (H1N1) გრიპის ვირუსით ინფიცირებულ პაციენტს გაწერესას აღენიშნება სიმპტომები, ოჯახის წევრებს უტარდებათ ინსტრუქტაჟი ინფექციური კონტროლის შესაბამისი ზომების სახლში განხორციელების მიზნით.

18. პრიორიტეტები იმ შემთხვევაში, როდესაც ინფექციური კონტროლის დაცვის საშუალებები ღირებულებულია

პრიორიტეტად ითვლება ინფიცირებული ყველა პაციენტისთვის სამედიცინო/ქირურგიული ნიღბები და ხელების ჰიგიენა.

19. კონტროლი ჯანდაცვის დაწესებულებებში

თუ შესაძლებელია, ინფიცირებული პაციენტები უნდა მოთავსდნენ შესაბამისად ვენტილირებულ ცალკეულ ოთახებში. სასუნთქ სისტემასთან დაკავშირებული მანიპულაციები უნდა ჩატარდეს კარგად ვენტილირებულ ადგილებში.

20. გვამების მოვლა

მორგების და რიტუალური სამსახურების თანამშრომლებმა უნდა გამოიყენონ დაცვის სტანდარტული ღონისძიებები კერძოდ: ხელების ჰიგიენა, ატარონ ხალათი, ხელთათმანები, და სახის დამცვი საშუალებები.

21. ჯანდაცვის დაწესებულებების მმართველობითი ღონისძიებები

სამედიცინო პერსონალის ცოდნის განახლება, ტრენინგები, კომუნიკაციის რისკები, შესაბამისი პერსონალით და დამხმარე საშუალებებით მომარაგება.

22. ჯანმრთელობის დაცვა საზოგადოებაში

მაქსიმალურად უნდა შემცირდეს ან თავიდან არიდებულ იქნას კონტაქტი დაავადებულ ადამიანებთან. თუ ახლო კონტაქტი აუცილებელია, საჭიროა გამოიყენოთ ხელმისაწვდომი დამცავი რესპირატორული საშუალებები წვეთების სახის მიდამოზე შესაძლო მოხვედრის თავიდან არიდების მიზნით და დაიბანოთ ხელები.